პ რ ო ე ქ ტ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2022 წლის ------ოქტომბერი

ქ. წყალტუბო

ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე (საკ. კოდი # 29.08.34.014) განთავსებული 34.8 კვ.მ. ფართის (სამი ოთახი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, თავიანთი საქმიანობის განხორციელების მიზნით, საქართველოს გარემოს ეროვნული დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს, იმერეთის რეგიონალური სამმართველოსთვის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 26 ოქტომბრის 48-482229962 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე (საკ. კოდი # 29.08.34.014) განთავსებული 34.8 კვ.მ. ფართის (სამი ოთახი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, თავიანთი საქმიანობის განხორციელების მიზნით, საქართველოს გარემოს ეროვნული დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს, იმერეთის რეგიონალური სამმართველოსთვის გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა მუნიციპალიტეტის მერს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში მდებარე, მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე (საკ. კოდი # 29.08.34.014) განთავსებული 34.8 კვ.მ. ფართის (სამი ოთახი) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, თავიანთი საქმიანობის განხორციელების მიზნით, საქართველოს გარემოს ეროვნული დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს, იმერეთის რეგიონალური სამმართველოსთვის გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას .
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი — მ. ბერაძე

შეთანხმებულია
აპარატის უფროსი — გ. თათარაშვილი

კომისიის თავმჯდომარე — რ. დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-482229962**
თარიღი: **26/10/2022**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს, იმერეთის რეგიონალური სამმართველოს უფროსის ფიქრია ჭლიკაძის 2022 წლის 25 ოქტომბრის N09-6/9418 წერილი (თან ერთვის), რომელშიც აღნიშნულია, რომ მათზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული, ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებარე, მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 43,3 კვ.მ. ფართის სანაცვლოდ (საკ.კოდი N29.08.34.014.) სამუშაო პირობებისა და მოქალაქეთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით სარგებლობაში გადაეცეთ ამავე შენობის პირველ სართულზე გვერდით ფლიგელში არსებული 34.8 კვ.მ. ფართი (სამი ოთახი).

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 122–ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ, მოგვცეთ თანხმობა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს, იმერეთის რეგიონალურ სამმართველოს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებარე, მერიის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე (საკ.კოდი N29.08.34.014.) განთავსებული 34.8 კვ.მ. ფართი (სამი ოთახი) თავიანთი საქმიანობის განხორციელების მიზნით.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA
სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL FOOD AGENCY

იმერეთის რეგიონული სამმართველო
IMERETI REGIONAL DIVISION

N 09-6/9418
25/10/2022

9418-09-6-2-202210251640

ქ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გენადი ბალანჩივაძეს

ბატონო გენადი,

მოგახსენებთ, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 6 დეკემბრისს №345 ბრძანებით, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. № 25 - ში მდებარე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული 43,3 კვადრატული მეტრი ფართი უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადმოეცა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის ეროვნულ სამსახურს.

სამუშაო პირობებისა და მოქალაქეთა მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით, გთხოვთ ამავე შენობის პირველ სართულზე გვერდით ფლიგელში განთავსებული 34, 8 კვადრატული მეტრის ფართი (სამი ოთახი) და ამჟამად არსებული ფართიდან 9,5 კვადრატული მეტრი ფართი (ერთი ოთახი) გადმოგვცეთ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში ნაცვლად ამჟამად არსებული 43,3 კვადრატული მეტრისა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ.

პატივისცემით,

ქ. ქუთაისი, ნიკეას III ჩიხი №5
#5, III Blind Alley, Nikea; Kutaisi
ტელ/Tel.:(995 91) 11 34 73

ფიქრია ჭლიკაძე

სამმართველოს უფროსი